ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 293

2 ივლისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ,,დელისი 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, შპს ,,ბიურო 7"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 6 ივნისის №01/676 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ,,დელისი 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, შპს ,,ბიურო 7"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 6 ივნისის №01/676 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებადაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქოსასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე